ხელშეკრულება № W-05

ქ. თბილისი 15 „მარტი“ 2023 წ.

ერთის მხრივ, **შ.პ.ს „საქართველოს ფოსტა“** წარმოდგენილი მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსის **ლაშა ჯაფარიძის** სახით შემდგომში “შემსყიდველი’’ და მეორეს მხრივ, **შპს “კოპალა 7”** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ვოისლავ ჯურიჩიჩ კოპალეიშვილის** სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებ შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტი რესტორნის მომსახურეობა (CPV კოდი: 55300000).

1.2. შესყიდვის საგანს წარმოადგენს-2023 წლის 16 მარტს სადილი 4 (ოთხი) პერსონაზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1200.00 (ერთი ათას ორასი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების,

2.2. ხელშეკრულების 2.1 მუხლში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად ანგარიშწორება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული მომსახურებისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ,,საქართველოს ფოსტა“-ს ოფისის ადმინისტრირების ხელმძღვანელი ნუცა სულაძე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, ა. ჩეხოვის ქ. 8/10

5.2 მომსახურების გაწევის ვადა: 2023 წლის 16 მარტი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

6.5. თითოეული მხარე პასუხს აგებს მეორე მხარისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისათვის, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 28 აპრილის ჩათვლით.

10. სხვა პირობები

10.1. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
10.3. წინამდებარე ხელშერკულება შედგენილია ქართულ ენაზე, 1 (ერთი) ელქტრონულად დამოწმებულ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

“შემსყიდველი“
შპს „საქართველოს ფოსტა“
მის: ქ. თბილისი, სადგურის მოედანი #2
ს/კ 203836233
ბანკი: სს “საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE13BG0000000123286800

ლაშა ჯაფარიძე
ფინანსური დეფარტამენტის უფროსი

“მიმწოდებელი“
შპს „კოპალა 7“
მის: ქ. თბილისი, ა. ჩეხოვის ქ. 8/10
ს/კ 406361789
ბანკი: ს.ს.“თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა GE50TB7490036080100011

ვოისლავ ჯურიჩიჩ კოპალეიშვილი
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.თბილისი 15 „მარტი“ 2023 წ.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელისმოწერით ადასტურებს რომ **შპს „კოპალა 7“-სთან** შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი: ლაშა ჯაფარიძე

შესყიდვების სამსახურის უფროსი: ვაჟა პოპიაშვილი

ოფისის ადმინისტრირების ხელმძრვანელი: ნუცა სულაძე